# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტ ზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

**«დროების» ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა. . 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ. |
| ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. [illegible] ასოთი სტრიქონზე [illegible].

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური


## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი».)

**პეტერბურღი**, 4 ივნისს. ჯარის შესავსებლად ამ წელიწადს კიდევ 218,000 რეკრუტი მოიკრიფება.

გამოუცხადა უმაღლესი მადლობა მაცხოვრის ტაძრის ამშენებელი კომისიის წევრს, ჩიჩერინს.

კეთდება ახალი ბეჭდები სხვა-და-სხვა სასამართლოებისათვის: სამინისტრო ბეჭედზედ იქნება: არწივი სამეფოების გერბეებით ფრთებზედ; გუბერნიის სამართველოსი, პალატისა და სხ. არწივი უგერბოდ, პოლიციის სამართველოსი—პატარა არწივი.

**ვარშავა** გაიმართა მატყლის იარმუკა; გასასყიდად მოიტანეს სულ 26,000 ფუთი. ფასმა აიწია.

**ხარკოვი**. 2 ივნისიდამ დაიწყო მატყლის იარმუკობა, მოტანილია 22,900 ფუთი მატყლი, მაგრამ მყიდველები ჯერ არსადა სჩანან.

**პეტერბურღი**, 5 ივნისს. ებოძა უმაღლესი რესკრიპტი გრაფს პალენს, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი მადლობას უცხადებს რიგიანად აღსრულებისათვის ცერემონიმეისტრობისა გვირგვინის კურთხევის დროს მოსკოვში. ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო ტელეგრამა ისაკიევის სობოროს სტარასტასაგან ოც და-ხუთის წლის ამ სობოროს კურთხევის იუბილეის დღესასწაულობის გამო, რაზედაც ხელმწიფე იმპერატორმა თავის ხელით დააწერა: მადლობა გადუხადეთ. გუშინ ჩერნოგორიის თავადი ნიკოლოზ გამოემშვიდობა პეტერგოფში მათ იმპერატორებით დიდებულებას და წავიდა ჩერნოგორიას.

**ლონდონი**. საბავშო წარმოდგენის შემდეგ ზუნდერლანდში, მოხდა საშინელი არეულა და 160-მდე ბავშვი გასრისეს.

**მადრიდი** ხერესის ახლო მახლო იმ საიდუმლო საზოგადოების წევრნი, რომელსაც „შავი მკლავი" ჰქვიან, ვენახებს აფუჭებენ.

## ახალი ნაბიჯი.

თბილისი, 7 ივნისს.

ჩვენში ახალი ნაბიჯი საზოგადო ასპარეზზედ ძალიან იშვიათი მოვლენაა. ამერიკა ყოველს სფერაში თვითეულს დღეს ახალს ნაბიჯს ადგამს წინა და მოძრაობს ორთქლის მაშინის სისწრაფით. ევროპა ყოველს წელს ცვლილობს ადგილსა წარმატების მოედანზედ და წინ მიისწრაფის მატარებლის ცხენის სიჩქარით მაინცა. ჩვენი ცხოვრება კი ვერაოდეს ვერ მოგაგონებთ ვერც მაშინისა და ვერც ბედაურის ცხენის სისწრაფესა. კუს ოდნავი მოძრაობა—აი ალაგი, რომლითაც უნდა იზომებოდეს ჩვენის წარმატების სისწრაფე. მთელი ოცი-და-ორმოცი წელიწადი უნდა გულგაწვრილებით უცადო, რომ მოესწრო რაიმე ნამდვილს ახალს ნაბიჯსა.

ამ სამწუხარო მოვლენას საკვირველი მხარეც აქვს. ვიდრემდის კავკასიონის ქედი შეადგენდა ჩვენთვის გაუვალს საზღვარს, ვიდრემდის ჩვენ ევროპას სრულიად დაშორებულნი ვიყავით, ბევრად, თუ ცოტად ევროპის სისწრაფით მივდიოდით წინა, როდესაც კი შინაური და გარეული არეულობა ცოტათი მაინც შეღავათს გვაძლევდა. ახლა კი სპარსეთსაც კრიჭა აქვს შეკრული, ოსმალეთიც ფეხებზედ გვკიდია, არც ქსნის ერისთავი აოხრებს არაგვის ერისთავის სამფლობელოსა, არც ლიპარიტ ორბელიანი ებრძვის ბაგრატს მეოთხესა,—მაგრამ წარმატება კი ძალიან იშვიათი სტუმარია ჩვენი. როდესაც გარშემო სულ აზიით ვიყავით შემოზღუდულნი, ევროპიულ მხნეობას და ენერგიას არ ვიყავით მოკლებულნი, ახლა კი, როდესაც აზიას ზურგი შევაქციეთ და ევროპას პირველ-ლენით, ნამდვილი აზიური სიზანტე და მოუძრაობა სენად ვაგვჯდომია ძვალსა და რბილში.

ჩვენი წინაპარნი ხალხის განათლებას ყოველთვის დიდს მნიშვნელობას აძლევდნენ. რამწამ საქართველო გარეგანი ბარბაროსობისაგან შეისვენებდა, სულს მოიბრუნებდა, მაშინვე სკოლების გამართვას, ცოდნის გავრცელებას შეუდგებოდენ ხოლმე გულმოდგინედ. ჩვენში ცოდნას, წიგნსა ყოველთვის სდებია დიდი, წმინდა ევროპიული პატივი. როდესაც ათასის წლის განმავლობაში ნწვა ერის ისტორია არ წარმოადგენს თითქმის არც ერთს სამეფო პირსა, რომელსაც მწიგნობრობაში, ლიტერატურაში მიეღოს პირდაპირი მონაწილეობა, ჩვენმა სამეფო სახლმა მარტო ერთს მეთვრამეტე საუკუნეში გამოიყვანა მწიგნობრობის, ლიტერატურის ასპარეზზედ რავდენიმე მაღალ-ნიჭიერი მოღვაწე, როგორიც იყვნენ: ვახუშტი, ბატონიშვილი იოანე და თეიმურაზი. სამღვდელოება, თავად-აზნაურობა, გლეხობა ძლიერად აფასებდნენ სწავლასა და სიყმაწვილიდგან სიბერემდის მიისწრაფებოდენ მისდამი. სპარსეთის შახმა აღა-მაჰმედ-ხანმა ხომ საშინლად ააოხრა წარსულის საუკუნის გასულს თბილისი და ბლომი ნაწილი საქართველოსი; მაგრამ ამ უბედურობის შემდეგ არ გამოსულა ორიოდე სამი წელიწადი, რომ თბილისი აივსო სასწავლებლებითა, სადაც ყოველის წოდების მოზარდობა ერთად სწავლობდა. წინ სვლა, წარმატება, ახალის ნაბიჯის გადადგმა ყოფილა ჩვენი დევიზი უწინდელს დროში როგორც საზოგადოდ ყველა საქმეებში, ისე ხალხის განათლების შესახებ.

ეხლა, ჩვენ სრულიად მივიწყებას მივეცით ხალხის განათლება, ყოველივე ზრუნვა დავუტევეთ და სამოცის წლის განმავლობაში იოტის ოდენა ჩვენ თითონ არაფერი გაგვიკეთებია ცოდნისა და სწავლის მოფენისათვის ჩვენს ერში. მხოლოდ ოცის წლის წინად გამოვიფხიზლეთ, შევიგენით, რომ უმეცრებაში დაგდება ხალხისა სიბნელეში დაგდებაა და მოვკიდეთ ხელი ამ წმინდა საქმესა; მაგრამ როგორა? ქართულად, ჩვენებურად, ახლანდებულად ესე იგი უენერგიოდ, ზანტად. ერთი მუჭა დასი ჩვენის განათლებულის ყმაწვილ-კაცობისა, მართალია, ამ წმინდა საქმეს არ აკლებდა შრომას და მეცადინეობას, ხშირად პიროვანს სიკეთეს გულ-ახდილად სწი-

---

«დროების» ფელეტონი 8 ივნისი.

## ქუთაისის ბანკის კრება

ქუთაისი, 31 მაისს.

კრება გაიხსნა თორმეტ საათზედ. თუმცა წინა-დღით ბევრნი ჩამოვიდენ სოფლიდამ, მაგრამ მაინც 125-ზე მეტი წევრი არ მოსულა კრებაზედ; უცხო პირნიც ბევრნი არიან ზალაში, ქალი თუ კაცი. გიმნაზიის შაგირდების რიცხვი ჭარბობს სხვა უცხო ხალხის რიცხვზედ. დიდი სიცხოველე ჯერ მაინცა-და-მაინც არ ეტყობა კრებას. პირველში ბანკის ანგარიშზედ ჩამოვარდა ლაპარაკი. გამგეობას მოსთხოვეს პასუხი, როგორ მოხდა, რომ ბანკს 1070 მან. და 60 კ. წაუგია სასამართლოს განჩინებით და მოგებიდამ გამოურიცხავს? გამგეობის თავმჯდომარემ აუხსნა კრებას, რომ აზნაურების წ. მამულზე ვაჭრობა დაინიშნაო და ეს მამული იყიდა ქ.-ოა. ერთი ნაწილი ამ მამულისა უწინვე გაყიდული ყოფილიყო და ქ.—მა ბანკს გადაახდევინა ამ გაყიდულის ნაწილის ფასიო. ერთის სიტყვით აღმოჩნდა რომ ბანკი მოტყუილებულიყო კანონების გამოურკვევლობისა და ნოტარიუსის დაუდევრობის წყალობით.

კრებამ მიიღო ეს მხედველობაში და შეუდგა ისევ ანგარიშის განხილვას. გაიმართა სიტყვების სროლა გამგეობისა და მის მოწინააღმდეგეთ შორის. მოწინააღმდეგენი მეტად ცხარობდენ, გამგეობა კი დინჯად იჯდა და წინ ფარსავით ზედამხედველი კომიტეტი ამოეფარა. წინააღმდეგმა დასმა ჯერ წვრილი მეკრივეები ჩამოგზავნა და წვრილ საქმეებზედაც მოხდა შეტაკება მაგრამ იმისთანა შეტაკება, რომელსაც ერთი მხარეც და მეორეც სასაცილოდ იგდებდა.

პ. წულუკიძე რატომ ანგარიში დაწვრილებით არ არის შედგენილი? ანგარიშში მაგ. ერთად არის მოქცეული დამფასებლების გზისა და დღიური ხარჯი და ხარჯი გირაოს ფურცლების დაბეჭდვისა. ან რატომ არ არის მოხსენებული რამდენი იხარჯება სტამბაზედ, ბლანკებისა და ანგარიშების დაბეჭდვაზედ, განცხადებებზედ და სხვ.

ანტ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე) არა ბანკის ანგარიშში არ არის მოხსენებული, რა იხარჯება სტამბაზე, ფანჯრის მინების ჩასასმელად, პოლების შეკეთებისთვის და სხვ. ეს ანგარიში ერთ მუხლშია ყოველთვის მოქცეული. ვისაც სურს ამ ანგარიშების დაწვრილებით შეტყობა, მობძანდეს და ბანკის წიგნები მის წინ გადაშლილია.

პ. წულუკიძე. რატომ არ აცხადებს გამგეობა, როდის იყიდება ხოლმე ჩვენი გირაოს ფურცლები, ან ვინ ყიდულობს, როგორ ყიდულობს? რატომ თვალ-ყურს არ ადევნებთ თქვენის აგენტის მოქმედებას? სწორედ ისე და იმ დროს კი ჰყიდის, როგორც თქვენ გაჩვენებთ?

ანტ. ლორთქიფანიძე. ბანკი სავაჭრო სახლია, გირაოს ფურცლები ჩვენი საქონელი, აგენტი კიდევ კომისიონერი, რომელსაც მინდობილი აქვს ჩვენის საქონლის გაყიდვა. ის გვატყობინებს, ამ და ამ ფასს მაძლევენ, გავყიდო თუ არაო. თუ დაგვიჯდება ვყიდეთ, თუ არა და მივწერთ ამა და ამ ფასზედ ნაკლებ ნუ გაჰყიდიო. შეიძლება ჩვენმა აგენტმა მეტად გაჰყიდოს იმ ფასზედ, რა ფასსაც ჩვენ გვაჩვენებს, მაგრამ არაფერი ღონისძიება არა გვაქვს ეს მოქმედება თავიდამ ავიცდინოთ.

კ. აბულაძე. ურიგო არ იქნება, მართლა ანგარიშში გამოაცხადოთ ხოლმე ამა და ამ დროს რამდენი გაიყიდა გირაოს ფურცლები, ან რა ფასად.

პ. წულუკიძე. გამოაცხადეთ ხოლ-

რავდამის სწორე გზაზედ დაყენებისათვის; მაგრამ საზოგადოება ან სრულიად გულ-გრილად უცქეროდა მათ მოღვაწეობასა, ან ხელს უშლიდა მათ უკუღმართის მსჯელობით და მოქმედებით. არა ერთხელ სრულიად მოგებული საქმე დატრიალდა უკუღმა რომელიმე ბობოლა ქართველის უმეცრების და სიყალბის გამო; არა ერთხელ შემცირდა ნაყოფი სისტემატიურის ქადაგებისა და მოქმედებისა იმის გამო, რომ რომელიმე ბობოლეებმა ყურში ჩასძახეს ისე რაც შეეფერებოდათ მხოლოდ ბინძურ მოხელეებს და არა თავის ქვეყნის ერთგულ შვილებსა. სამღვდელოებამ უღალატა ხალხის განათლებასა, თავად-აზნაურობამ გულითადი ამხანაგობა გაუწია მას უსაქმობაში და უკუღმართობაში და ამ სახით უმაღლესი საქმის სამსახური წმინდა და მძიმე ვალად დაედო კისერზედ მხოლოდ ქართველს დაწინაურებულს ინტელიგენციის მცირე დასსა.

მაგრამ მისმა მხნეობამ, ერთგულებამ და სისტემატიურმა მოქმედებამ მაინც სანუგეშო შედეგი მოიტანა. ამ ჟამად მეტ-ნაკლებობით აღიარებულია თვით მთავრობის მხრითაც დედა-ენის უფლება სახალხო სკოლის შესახებ და ეს უფლება ვრცელდება იმისთანა სასწავლებლებზედაც, რომელნიც საშუალო სასწავლებლებს უდრიან თითქმის.... ჩვენი განათლებული ყმაწვილ-კაცობა ამითი მაინც არა კმაყოფილდება. იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ამ უდიდესს საქმეს ახალი კვალი გაუკვლიოს, ახალი ნაბიჯი გადაადგმევინოს და ხალხის განათლება გაიყვანოს განიერ და ნაყოფიერს გზაზედ.

ამ გვარის ცდილობის მოწამეა, ამ გვარის მოქმედების ნაყოფია სამეურნეო სკოლა, რომელსაც აარსებს ერთს თბილისის მახლობელს სოფელში ბატ. წინამძღვრიშვილი ჩვენის ყმაწვილ-კაცობის მონაწილეობით და დახმარებით, და რომლის წესდებულებას ამავე გაზეთში გაიცნობს მკითხველი.

(გაგრძელება ხვალ)

## ახალი ამბები.

სისულელეზედ მეტი არ მოუვა კაცს, რომ აქაო და ვიწრო წვერიანი წალო მოდა არ არისო, ისეთი წალები ჩაიცვას, რომ სრულებით სიარული აღარ შეეძლოს? მაგრამ მოდას მისდევენ ხოლმე არამც თუ მარტო ქალი და კაცი, არამედ მთელი ქალაქებიც ერთმანერთს თვალს ადევნებენ და რასაც, ვსთქვათ, პარიჟი, ან პეტერბურღი შემოიღებს, სხვა ქალაქებსაც უნდათ... რასაკვირველია კარგი მოგონებაა ცხენ-რკინის გზა, ნამეტნავად სალთა კაცისთვის იაფად წასვლა-წამოსვლისთვის ქალაქში, მაგრამ მთელი ქუჩები მარტო ამ რკინის გზას დავაჭერინოთ უგუნურება იქნება; ეს «ბატი», ანუ ბალდახინი, როგორც აქაური კინტოები ეძახიან, ურმობას და ფურგუნობას ვერ გაუწევს ქალაქს. თბილისის ქუჩები საზოგადოდ ისე ვიწრონი არიან, რომ თითქმის გალავინის პროსპექტზედაც დიდად საფრთხილოა, არამც თუ პუკის ხიდზედ და შუა-ბაზარზედ ჩატარება... თითქმის ერთად ერთი ხიდი იყო, რომელსაც ორივე მხრით იმდენი ხალხი აწყდება, რომ მოძრაობა ხან-დის-ხან მეტად გაჭირდებოდა ხოლმე და ეხლა ამ ხიდზედაც ცხენ-რკინის გზა გაიყვანეს,—ისიც ორ ტოტად! ეს ამას ნიშნავს, რომ ქალაქს ეს ხიდი ცხენ-რკინის გზის კამპანიისთვის დაუთმია, თორემ ბრმაც მიხვდება, რომ თუ ორ-მხრივ დაიწყეს ვაგონებმა სიარული ამ ხიდზედ, მაშინ არამც თუ ურემი და ფაიტონი ვერ გაივლის, ფეხით მოსიარულეთათვისაც დიდი გასაჭირი და საფთხილო იქნება. მიგვიქცევია ყურადღება, ვისიც ჯერ არს, მალე შეასწორონ თავიანთი შეცდომა და ცალი ტოტი გაყვანილის რკინის გზისა ეხლავე აშალონ, რადგანაც ორ მხრივ ვაგონების სიარული ამ ხიდზედ ყოვლად შეუძლებელია და ბევრს უწესოებას და უბედურებას მოახდენს.

≈≈≈ წარსულ კვირის საღამოს სხდომაზედ სააზნაურო სკოლის კომიტეტს გადაუწყვეტია: ბ. ლომაურის მაგიერ, სკოლის ინსპეკტორად მოიწვიოს ბ. ვას. პიფიანი.

≈≈≈ შორაპნის მაზრიდამ გვწერენ, რომ წელს ისეთი მოსავალია, რომ ჯერ არავის ახსოვსო.

ჩვენ ამას დაუმატებთ, რომ თუმცა ხმა გავარდა სეტყვამ საგურამო დარეგვაო, მაგრამ, როგორც ჩვენის თვალით ვნახეთ, მთელ საგურამოს ღელეზედ ისეთი მშვენიერი მოსავალი სჩანს ქერისა და პურისა, რომ ამაზედ უკეთესი შეუძლებელია თითქმის.

≈≈≈ შორაპნიდანვე გვწერენ, რომ შავი ქვის მადნებში მუშაობა თანდათან კლებულობსო. ღვინის ფასიც შორაპნის მაზრაში ძალიან დავარდნილა.

≈≈≈ ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ ის ასი თუმანი, რომელიც ამ ორი წლის წინათ კ. ნა სოფიო გურიელისა და სხვა რამდენიმე ქალის თაოსნობით შეკრებილა საქალებო სკოლისთვის, ეხლა თითქმის თავდება და აღარ იციან რა საშუალებას მიჰმართონო. ერთი ამ საშუალებათაგანი ისევ იქაურს ქალებს გამოუძებნიათ. მარიამ პირუმოვისას, მინადორა ბირშეტისას, ნინა ქიქოძისას, მ. ნაკაშიძისას, პესარია ლლონტისას და ელის. თუმანოვისას გაუმართავთ საქალაქო ბაღში საღამო, სადაც შეყრილ სტუმრებს გამასპინძლებიან ჩაით, ხილით და სხვ.

ამ საღამოდან შემოსვლიათ 105 მ., რომელიც საქალებო სკოლას უნდა მოხმარდეს.

≈≈≈ იქიდამვე გვწერენ, რომ ღვინისა და ხილის დიდ მოსავალს მოველითო, მხოლოდ ვაშლი და ფუფუქებია ჭიას.

≈≈≈ «მოსკოვის უწყებებს» ატყობინებენ პალულიდამ, რომ იქ ერთ კაზარმაში შუაღამისას ჭერი ჩამონგრეულა და ათი მძინარე სალდათი მოუკლავს და ცხრა ცოცხალ-მკვდარი ძლივს გადარჩენილან.

## სასამართლოს ქრონიკა.

საქმე პოწია ერისთავის და შაშიკოლლებისა ბერსის სახლის თავ-დასხმის თაობაზე.

დღეს, ოც-და-ათ მაისს უფრო მოძრაობაა ზათუმში, ერთის მხრით მისთვის, რომ რაც საქმე ირჩევა, იმდენი უფრო საყურადღებო ხდება და მეორეს მხრით იმისათვის, რომ პირველ ორ დღეს ერთობ მოწყენა ეტყობოდა ზოგიერთა მაყურებლებს მოწმების გრძელი მონოლოგებით და ათას გვარ კითხვების მიცემით. თუ წარმოვიდგენთ მთარგმნელების უხეირო თარგმანსაც, მაშინ თქვენც დაგვეთანხმებით, რომ პირველ ორ დღეს ამ საქმის გარჩევა მართლა მოსაწყენი უნდა ყოფილიყო.

უნდა გითხრათ დღეს არც ბრალდებულთ ეტყობათ პირველ დღესავით მხიარული მიხვრა-მოხვრა, ალბად იმისათვის, რომ ერთმა მოწამემ წინა დღესა სთქვა, რომ «დღეს ერთი მელამე დამპირდა, რაც მინდა, მომცემს, თუ უველაფერს არ გიტყვიო (ეს მოწამე გახლდათ ბერსის ცოლის მესაიდუმლო). ხალხშიც ჭორად გავარდა ხმა, ვითომც ბობოლამეებიც ცდილობდენ იმ დამნაშავეების გამტყუნებას. ყველა სკამებს ეტანება, ადგილებზე აყალ-მაყალია. აი გამოჩნდენ დანიშნულ დილის ათ საათზე მსაჯულები; უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა სმენად არის გადაქცეული და თვალები ბრალდებულებისკენ აქვს მიქცეული, ყურები მსაჯულებისკენ.

მსაჯულები ანთავისუფლებენ ზოგიერთ მოწმეს—იმათ, რომელნიც პოლიციას

---

მე ანგარიშში, თითო დამფასებელი რამდენს მამულს აფასებს, ან სოფლისას, ან ქალაქისას.

ანტ. ლორთქიფანიძე. ეგ ცნობები, ვისაც უნდა, ბანკის წიგნებში ნახავს; ანგარიშში კი მაგისთანები რომ ჩავწეროთ, 2,000 მან. არ გვეყოფა მის დასაბეჭდად.

გ. აბულაძე. თუ გინდათ შეიტყოთ, დამფასებლებს საზოგადოდ რა უკეთებიათ, ან რამდენი დამფასებელია საჭირო, გაჰყავით დაფასებათა რიცხვი დამფასებლების რიცხვზედ და ეს ცნობაც გეყოფათ.

ამ ლაპარაკის შემდეგ გამგეობისაგან წარმოდგენილი ანგარიში დამტკიცდა.

კრებას მოხსენდა მასუკან მინისტრის ქაღალდი, რომლის შინაარსზედაც გუშინ მოვილაპარაკეთ.

გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ლოლობერიძემ უჩვენა კრებას უსაფუძვლობა ზოგიერთის საყვედურისა, მაგ. იმ მუხლისა, რომელიც დანაშაულად უთვლის გამგეობას დიდის სესხის გაცემას ამ უკანასკნელ სამის წლის განმავლობაში. ბანკის დაარსების შემდეგ ომიანობა იყო, ჩვენს ქვეყანაში ფული ბევრი დატრიალდა და ბანკს არა ჰყურობდენო, სთქვა ნ. ლოლობერიძემ,—ეხლა ფული გაძვირდა და რა გასაკვირველია, რომ ბანკს ერთიორად და ერთი-სამად მეტმა მსესხებლებმა მომართონო. ამას გარდა თბილისის ბანკის წესდების შეცვლის გამო, ამ ბანკის მოქმედება დროებით შეჩერებული იყო და თბილისშიაც დიდი სესხი გავეცითო.

მინისტრის ქაღალდის გასინჯვის დროს კრებაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. ერთნი ამტკიცებდენ, რომ მინისტრის რევიზია საჭირო არ არის, ჩვენ თითონ დავნიშნოთ რევიზიაო, მეორენი ამბობდენ ჩვენის რევიზიით არცა-რა გამოვა-რა და არც დაგვყაბულდებიანო. ერთთა თვით-მმართველობის დროში გამოშალეს, მეორეთ ადმინისტრაციის საზოგადო საქმეებში ჩარევისა.

პ. წულუკიძე. მინისტრს იმიტომ მიუქცევია ჩვენის ბანკისთვის ყურადღება, რომ მამულებს შემოსავალზედ კი არ აფასებთ, მსესხებლის მოთხოვნილებას უგდებთ ყურსა. უწინ სახლების წმინდა შემოსავალს თექვსმეტჯერ ამრავლებდით და 60 პროცენტს აძლევდით ამ ჯამისასა. მასუკან, მინისტრმა რომ ამაზედ შენიშნვა მოგცათ, ქვითკირის სახლების შემოსავალს ათჯერ დაუწყეთ მრავლება და ხისას ექვსჯერ, მაგრამ მაინც ისევ უწინდელი ჯამი გამოდიოდა. რა იცით რომ მინისტრმა არ შენიშნა—შარშან ამა-და-ამ სახლს ეს შემოსავალი ჰქონდა და წრეულს კი იმისთანავე სახლს, იმის გვერდითვე მდებარეს, შემოსავალი ერთი-ორად მეტი შემოაქვს დამფასებლების სიტყვითაო.

გ. აბულაძე. ჩვენი ბანკები მეურნეობის გასაუმჯობესებლად არიან დაწესებულნი. მინისტრი რომ გვეუბნება შემოსავლის კვალობაზედ დააფასეთ მამულები და არა ღირებულობისაზედ, ეს იმიტომ, რომ მსესხებელს შეძლება ჰქონდეს ვალი მამულიდამ იხადოს და არა სხვა გარეშე წყაროებიდამ.

ზედამხედველი კომიტეტი იმ აზრისაა, რომ კრებამ ამოირჩიოს სარევიზიო კომისია, კომისიამ განიხილოს ყოველივე ბანკის საქმეები და რევიზიის მოხსენება მინისტრს წარუდგინოს.

კირილე ლორთქიფანიძე (ლაპარაკობს ცხარედ, თავის აზრზედ გულ-დანდობილი; სიტყვის ბოლოს ხმა აკლდება და თითქო თავის გულ-ღვიძლს თავის ხმას თან აყოლებს). ჩვენს რევიზიას მნიშვნელობა არა ექნება-რა. მინისტრის რევიზიას ვერ ავიცილებთ, რაც უნდა ვეცადოთ. ნურც შეგვე-

ქუჩაში შეუკრეფვია და საქმის გასაიაებლად წარუდგენია გამომძიებლისათვის. ქალებში მოისმის: ,,აფსუსი არ არის, შენი ჭირიმე, ამისთანა ბიჭები, გვრიტივით უმანწვილები გაფუჭდნენ, ვაი დედითქვენის გამწარებას თქვე საწყლებო და ვაი თქვენს დამჭერო!!!''

მოწამე აფხაზი, მამასახლისი აფხაზებისა, თავმჯდომარის კითხვაზე ეუბნება, რომ პრისტავმა ჯაიანმა მითხრა მოწმად დაგნიშნე და ასე და ისე უთხარიო, არ დაგავიწყდებენო, თორემ მე ამ საქმისა არაფერი არ ვიციო. მოწამე ლუკა გაბუნია, ბათუმის განყოფილების უფროსი, აგვიწერს საშიშრებას ყაჩაღის კაკალ-ოღლებისას და გვარწმუნებს, იმათ დასაჭერად ვიყავ მოსულიო, თუმც მასუკან ახსნა, რომ ,,ატრიადი'' იმ ბაღისკენ ჰყავდა, სადაც არფიანკები თამაშობდენ. ამას სხვა მოწმებიც ემოწმებიან. მოწამე აფხაზი კაპაჭვა, ყურ-მოჭრილი ემა ჯაიანისა, (ადვოკატის სიტყვა გახლავს ეს) თავის გაზეპირებულ სიტყვას გულწრფელად(!) ამტკიცებს და ამბობს სწორედ აგრე გახლამთ, როგორც პირველში ვუთხარიო, თუმცა მსაჯულების კითხვებზე ბუზი აქლემი ჰგონია. მოწამე ნიკო ერისთავი, ვიცე-გუბერნატორი ბათუმის ოლქისა, გვაჯერებს კოწიას გაფუჭებულ ყოფა-ქცევას, თუმცა უმატებს კიდევაც, რომ როდესაც ერთხელ ქუჩაში ვნახე, გავუწყერი და ვუთხარ: რატომ ჩემთან არ დაიარებიო. ამას უმატებს, მე მტკიცედ შემიძლიან ვსთქვა, რომ ის საშიში ყაჩაღები კაკალ-ოღლები, რომელთ დაჭერასაც ესენი მოგახსენებენ, იმ დროს ოსმალეთში იყვნენ და ეს ვიცი დარწმუნებით როგორც მმართველმა მაზრისამაო.

ადვოკატის კითხვაზე ისიც სთქვა, რომ ეს უბედური შემთხვევა პოლიციის უხეირობით და უმეცრებით მოხდა, თორემ თუ ამისთანა საქმე უნდოდათ და არ უნდოდათ ჩემთვის გაეგებინებინათ, იმათ შეეძლოთ ადვილად დაეჭირათ ბრალდებულნი და არც არავინ მოეკლათ. ისიც გაახსენდა თ. ერისთავს, რომ როდესაც ამ შემთხვევის გაგებისთანავე მისულა ქ. ფვატისთან, საშინლად აღელვებული და მოწყენილი უნახავს და როცა უკითხავს მიზეზი, ფვატის უთქვამს კოწიაზე: подвели его несчастнаго!!

მოწამე სტეფანოვი, ბათუმის მაზრის უფროსი, ეუბნება მსაჯულებს თ. ნიკ. ერისთავის სიტყვებს, მაგრამ კოწიას ცუდ ყოფა-ქცევაზე არაფერს ამბობს, უმატებს კი, რომ კაკალ-ოღლები რომ აქ ყოფილიყვნენ, იმათი დაჭერა ჩემი საქმე იყო და არა პოლიციის, საპყრობილეს მცველის და გაბუნიასიო. ეს უფრო თამამად აღვიარებს პოლიციის უმეცრებას, უკარგისობას და ამ საქმეში მეტიჩრობას. ამასაც გაუგონია ფვატის სიტყვები ,,подвели его несчастнаго'', იმასაც არა ჰფარავს ბატ. სტეფანოვი, რომ როდესაც დილაზე ეს გარემოება შეუტყვია, არ დაუჯერებია, შეუძლებელია ,,კოწიას ამისთანა საქმე მოეხდინოსო'' და ერთხელ არც დათანხმებულა წასვლაზედ, რადგანაც პოლიცია არც მე მექვემდებარება და არც იმისი გასავრილი საქმის გაწმენდა ჩემი საქმე არისო.

ხალხი ,,ბრავოს'' დაამხებას აპირებს უკანასკნელის მოწამის ჩვენებაზე, მაგრამ აღელვებულნი თავს იკავებენ.

საპყრობილის მცველი ბატ. ფვალავა, რომელსაც ამ საქმეში მეტამეტე გოჭის როლი უკისრია, როგორც ყურ-მოჭრილ ემას ბერსისას და რომელსაც თავისი ყარაული სამზარეულოში დაუყენებია, გულწრფელად გამოტყდა, რომ მოლოდინის დროს დავეძინაო, თუმცა ცდილობდა განემეორებინა პირველი ჩვენება ბერსის აქ ყოფნის დროს მიცემული კოწიას დანახვაზე! მაგრამ გარდიევსკიმ ორის კითხვით ახსნა იმისი სადი ლოღიკა! თურმე ნუ იტყვით კოწიას ამ თავისი მოსისხლე მტრისათვის უთქვამს, ,,უნდა მომეკლა ბერსი, მაგრამ ვერ მოვკალიო!''

მოწამე დეპუტატი ხურშუტ-აღა და მისი გასაზდელი პატარა ბეგი რაღაც ფლავის ჭამაზე ელაპარაკებოდენ მსაჯულებს და ვერაფერი ახსნეს თავიანთ ჩვენებით; მაგრამ სმენად გადაქცეული ხალხი გაატინეს, როდესაც ერთმა აჩვენა, თუმცა შამიკ-ოღლის მტერი ვიყავ, მაგრამ კოწია და შამიკ-ოღლი რომ ფაეტონში ისხდენ, გამოვეკიდე შესატყობლად თუ სად მიდიოდენო. ბოლოს გულ-წრფელად ისიც კი არ დაგვიმალა, რომ იმის და შამიკ-ოღლის წაჩხუბვის დროს, შამიკ-ოღლის ბიძას, იბრაამბეგს ორი სილაც უჭმევია მისთვის. (სიცილი ხალხში).

გომანი, პრისტავი პოლიციისა, თავის მომმეების წინააღმდეგ დარწმუნებით გვაუწყებს, რომ მოკლულ მილიციონერს რევოლვერი ბუდეში ჰქონია და არა ხელში. ეს იმას ნამდვილად ახსოვს.

დამავიწყდა მეთქვა, რომ დილას შამიკ-ოღლების ვექილის სელიტრენიკოვის გამოუცხადებლობამ ხალხში დიდი ზიზღი აღძრა, ყველა ერთ-ხმად ამბობდა: იმედი დაეკარგა და გაიპარაო, თუმცა იმისი აგენტი ეფიცებოდა ყველას, რომ არ გაპარულა, ისე წავიდაო და წავიდა იმისთვის, რომ ერთის თავის კლიენტისა პალატაში 60 ათასის მანეთის საქმე ჰქონდა და ეს გაბრაზებული კლიენტი რევოლვერით მოკვლას დაემუქრა და ისე ძალად წაიყვანაო. გაბრაზებული ხალხი უშვერ სიტყვებით იხსენიებენ ბ. ვექილს, — როცა შეიტყეს, რომ ამ ანბის გამგონ ბრალდებულ შამიკ-ოღლის კინაღამ ანთება მოსვლია თავში საპყრობილეში ამბობენ, პირველში აღებული 200 მანეთი გორდიევსკის დაუთმოვო და სთხოვა შენ დაიცვე ესენიცაო, მაგრამ ბევრს არა სჯეროდა.

გორდიევსკი ყველას აჯერებს, რომ შამიკ-ოღლებიც მე უნდა დავიცვაო, მაგრამ ხალხს ეჭვი აქვს, ვერ მოახერხებსო.

პოლიციის ერთგულმა, როგორც თავის თავს უწოდა იუნკერმა შაქირ-აღამ, თავის მოწმობის დროს ბევრი ილაპარაკა თავის მამაცობაზე, მაგრამ როდესაც მსაჯულებმა ჰკითხეს „რად დასჭერ მკვდარი კაციო“, მამაცად გამოტყდა, რომ მე ვიფიქრე ცოცხალია და შემეშინდა არ მომკლასო; მე თითო-თითოდ დავთვალე შემოსული თავ-დასხმული ყაჩაღები და შემეძლო წიწილებივითაც დამეჭირაო. ამ ნაირი ბრძანებაც მქონდა გეგენავასაგან, მაგრამ კაკალ-ოღლებისა შემეშინდა და თოფებმა უკუ იგრიალესო; მაშინ გამოტყდა, რომ თოფს უმტყუნია, რომელიც კოწიასკენ ჰქონია მიმართული; რადგანაც დააფიცეს არც ის დაუმალავს მრავალებისათვის, რომ ცდაში ერთხანად სძინებია. ძალიან ეწყინა გორდიევსკისაგან, რად მკითხე სთვალებს რად ატარებო? მე ხომ ბრმა არ გგონივარ, თუ გინდა გამოიყვანე, გინდ გინდა, დამჭიდე, თუ გინდ თოფიც ერთად ვისროლოთო, ტყვიას თოფის კუჭში გავამვრენო. (ხარხარი და სიცილი ხალხში).

პრისტავს სურგულაძეს არ უმტყუნა ხსოვნამ და ყველაფერი უთხრა, რაც გამომძიებლისათვის ეჩვენებინა და ისიც დაუმატა, რომ გამოვარდნილი კოწია შემეყარა გზაზე, ხმაზე ვიცანი და მითხრა «არ მომკლა შენი კოწია არავარო»! (სიცილი ხალხში).

მსაჯულებსაც დაეტყო ამ უმანკო მოწმების უმაწვილური—ტიტინით მოწყენა და გვითხრეს შვიდ საათზე მობრძანდით, სხვა მოწმებს აღარ ეკითხებაო.

ხალხი წამოიშალა, ყველა მოწყენილია, ეცოდებოდათ სკამებზე მსხდომნი დამნაშავენი, სიბრიყვის მსხვერპლნი, მიესწრაფოიან მეცლების დასაკმაყოფილებლად, რომ მალე დაბრუნდენ ადგილების საშოვრათ, რადგანაც საშიშარი წამები ახლოვდება და მოელიან რას იტყვის ბატ. პროკურორი, რას ეტყვის ვექილი. ვექილიც, ცოტა არ იყოს, ჩაფიქრებულია. ეს აწუხებს ხალხს და ამხიარულებს მოწამეთა სკამებზე გამოჭიმულ ბათუმის პოლიციელების ქომაგებს.

—

6 საათია. ხალხით გაიმსო ბაღი და სკოლის დერეფანი; ყაყანია ხალხში. ყველა უსაყვედურებს ბერსს, ყველა ზიზღს აცხადებს გეგენავაზე, ამ საქმის არტისტების ბრიყულ განკარგულებაზე და დაგებულ მახეზე: გამოჩნდნენ ბრალდებულნი, თან მოჰყვა უფრო გამხნევებული გორდიევსკი. ადგილების შოვნაზე თავის ტეხაა, გაუთავებელი ჩოჩქოლი. მსაჯულებიც გამოვიდნენ. პროკურორი ფურცლავს საქმეს და ემზადება. მსაჯულები ერთმანეთში ჩურჩულობენ და სჩხრეკენ

---

შინდება რევიზიისა. შიში ან უარისყოფა უფრო ეჭვს აღძრავს. სჯობს ჩვენის ბანკის გარემოება მოხსენდეს მინისტრს დაწვრილებით და ეთხოვოს სესხის გაცემის უფლება. თუ შეიწყნარა, ხომ რა კარგი, თუ არა ისევ მინისტრის რევიზიასთან მივალთ. ჩვენი რევიზია მარტო ფორმალურის წესის შესრულება იქნება. პაცებსაც ვერ ვიშოვნით სარევიზიოდ. თუნდ იყოს რამ ბოროტ-მოქმედება ბანკში (სიტყვისთვის ვამბობ, თორემ რა დასაჯერებელია), რომელი კომისიის წევრი დათანხმდება გამოაშკარაოს ეს ბოროტ-მოქმედება...

დარახველიძე (წევრი ზედამხედველის კომიტეტისა) მთელს ერს შეურაცხებას რად აყენებთ?!

კ. ლორთქიფანიძე. მაცალეთ, ბატონო! ვინც კი გაჰბედავს რაიმე ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავებას, ყველა ჩვენგანი ქვას ესვრის მას. მაგრამ აქ ბოროტ-მოქმედობაზედ როდია ლაპარაკი. მინისტრი იმასა სცდილობს, რომ გირავნობა საფუძვლიანი იყოს ჩვენს ბანკში. ბოროტ-მოქმედებაც რომ არა აღმოჩნდეს-რა, ამითი მინისტრს ვერ დავამშვიდებთ. ის წინადადებას გვაძლევს—რევიზია გამაკეთებინეთო. ეს ზდილობიანი ბძანებაა. საქმეს ტყუილად ნუ გავაგრძელებთ. სესხის მომლოდინეთ ნუ დავღუპავთ.

დარახველიძე. ღმერთმა ნუ ჰქნას რომ ბ. პირილეს სიტყვები მართალი იყოს. ნუ თუ მართლა მთელს ხალხში იმისთანა კაცი არ არის, რომელმაც ბოროტ-მოქმედების გამოაშკარავება გაჰბედოს? თუ ჩვენ დავავიწყდით პატივცემულ პირილეს, თავის თავი მაინც რად დაავიწყდა!

კირ. ლორთ. ამას ამიტომ ვამბობ, რომ ბანკის მტერი არავინ არის; მიკვირს, რომ არამცთუ უსწავლელები, განათლებული პირებიც კი ამტკიცებენ, რომ ჩვენ ბანკის მოწინააღმდეგენი ვიყოთ. ჩვენ ბანკის მტერნი ისე არა ვართ, როგორც არა ვართ დანის მტერნი. დანა სასარგებლო ნივთია, მაგრამ საშიში ბავშვის ხელში.

საზოგადოებამ დიდი ყურადღება არ მიაქცია ამ უდროოდ გადახვევას და იგავით ლაპარაკს და ისევ რევიზიას დაუბრუნდა.

ვას. აბდუშელიშვილი. წესდებაში რევიზია არ არის მოხსენებული და როგორ მოვიქცეთ.

ნ. ღოღობერიძე. მინისტრისაგან ახსნილია, რომ კრებას შეუძლიან რევიზია მოითხოვოს.

ვას. აბდუშელ. მაშ უეჭველად ჩვენივე რევიზია უნდა იყოს. უცხო პირს ნუ გავატარებთ. ეგ ერთი თავისუფალი დაწესებულება გვქონდა და მაგაშიაც სხვა უნდა ჩამოგვეჩხიროს. აპეკუნობამ დაჩვევა იცის. თუ საზოგადო კრებამ თავის აზრი გამოაცხადა, იმედია მინისტრი პატივსა სცემს საზოგადოების სურვილს.

დ. თუმანიშვილი. მთავრობა კერძო პირსაც კი ყურადღებას მიაქცევს ხოლმე და საზოგადო კრების სურვილს როგორ არ მიიღებს ყურადღებაში.

კირ. ლორთქ. საფრანგეთში თავისუფლად სცხოვრებენ, მაგრამ იქაც კი ადმინისტრაცია ერევა საზოგადო საქმეებში. აქ თვით-მმართველობასა და ლიბერალობაზედ როდია ლაპარაკი. ლიბერალობა სხვაა და საქმე სხვა, თორემ თუ ლიბერალობაზედ მიდგა საქმე, იქნება მე თქვენზედ უფრო ლიბერალი ვიყო! (ხალხში სიცილი).

პიდევ ბევრი ითქვა რევიზიის თაობაზედ, მაგრამ ამ კრებაზე საქმე არ გადაწყვეტილა. თავმჯდომარემ სხდომა მეორე დღემდე გადასდო.

ქაღალდებს, ბოლოს წაიკითხეს ის საუბედურო წერილი კოწიასი თავის დედაცინეისადმი, გ. ი. ფხტისადმი მიწერილი! წერილი ქართულიდან რუსულად გადმოთარგმნილია ხუთის მოენის დახმარებით, მაგრამ ნამდვილ ის წამკითხავები გვაჯერებენ, რომ ამ თარგმნაში არა პირდაპირი აზრი სიტყვებისა, არამედ ხასიათიც, რომელიც მსაჯულებისათვის აუცილებლად საჭიროა, არა სჩანსო.

თუ კალკიარებთ, რომ ამავე მთარგმლებმა სთარგნეს უმრავლეს მოწმების სიტყვიერი ჩვენება სამსაჯულოს წინაშე, მათი თარგმანი ერთობ მოკლე უხეირო და უაზრო იყო და არა ჰქონდა ის სიცოცხლე, რაც მოწმების სიტყვებს ეტყობოდა,—მაშინ ცუდ შთაბეჭდილებას გამოვიტანთ, რადგანაც მართლ მსაჯულების უპირველესი აზრის გარდაცილება იქმნება *).

ლ. უდელი.

(გაგრძელება)

## «დროების» კორესპონდენცია.

—

ვლადიკავკაზი, 30 მაისს. რუსეთით მომავალმა ვლადიკავკაზის რკინის გზის ერთ სტანციაზედ ვნახე ერთი გულის შემაწუხებელი სურათი, რომელიც ჩემს დღეში არ დამავიწყდება.

სტანციის პლატ-ფორმაზედ იდგა ვეება ხროვა ყაბარდოელებისა, რომელშიაც მოხუცი, ახალგაზდა, ქალები და პატარა ბავშვები ერთმანეთში არეულიყვნენ. იმათ დაღვრემილ სახეებს რომ შევხედე, მე მეგონა, ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაციის წესით თუ ასახლებენ-მეთქი ჩრდილოეთისკენ, მაგრამ მალე გავასწორე შეცდომა, როდესაც ხიშტიანი მცველები არსად დავინახე. როდესაც მატარებელი დადგა, ამ ხალხში ერთი გულის გამხევი ჭრიამული და ქვითინი ასტყდა. ქალი, კაცი ერთმანეთს დაერივნენ, ქინით იკრავდენ ერთმანეთს გულში და მხურვალედ ეთხოვებოდენ. მაშინ კი ეჭვი აღარ იყო, რომ ეს მამაცი და სამშობლოს მოყვარე ხალხი თავის მიწა-წყალს ეთხოვებოდა სამუდამოდ. ვისაც ეს სურათი არ უნახავს, ვერ წარმოიდგენს რა გრძნობით ეთხოვებიან სამშობლოს ისინი, ვისაც სამშობლო ყაბარდოელებივით უყვარს. დიდი, ძლიერი და აუტანელი უნდა იყოს ის მიზეზებიც, რომელნიც მოსიყვარულე შვილს აიძულებენ დედას მკერდიდან მოსწყდეს და შორს გადაიკარგოს.

«დეე ნუ მოვკვდე ჩემსა მამულში,
ჩემსა წინაპართ საფლავთა შორის!
ნუ დამიცვიროს საცრფომ გულისა,
ნურცა დამეცეს ცრემლი მდუღარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს
მძელლოთა შორის ტიალის მინდვრის
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა
ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის!»

უნებურად მომაგონდა უკვდავი ბარათაშვილის სიტყვები და მეც ყაბარდოელებთან ერთად ცრემლები მომერია, გულმა ველარ გამიძლო და გამოველაპარაკე ერთს მოხუცს, რომელიც ვაგონის მოაჯირს მიჰყუდებოდა და ცრემლით სავსე თვალებით შორს გაიცქირებოდა.—საით მიემგზავრებით, მოხუცო? ვკითხე მე. იმან ჯერ ხმა არ გამცა; მერე ძლივს მომიგო. სტამბოლში, სტამბოლში!

— მერე რა ძალა დაგადგეთ, რომ თქვენს მიწა-წყალს, მამა-პაპის საფლავსა სტოვებთ და სადღაც მისდიხართ? ვკითხე კიდევ. მოხუცმა მკაცრად შემომხედა, ერთი მწარედ წაიბუსლუნა: ჰმ!... უკმაყოფილოდ ხელი ჩაიქნია და ზურგი შემომაქცია. მეც მივხვდი, რომ ჩემი ლაპარაკი მეტი იქნებოდა და მოვშორდი. მერე შევიტყე, რომ ყაბარდო თან-დათან იყრება და ოსმალეთისკენ მიდის...

მალე ლოკომოტივმა დაიკივლა, მატარებელი დაიძრა და სამუდამოდ მოსწყვიტა სამშობლოს, რომლის სიყვარულისთვისაც არა ერთხელ გაუწირავთ სასიკვდილოდ თავი,—უბედური ყაბარდოელნი. ადვილი წარმოსადგენია, რა ჯოჯოხეთის გენია ენთებოდა მაშინ იმ უბედურთ გულში. მე და მათშიაც განსხვავება დიდი იყო: მოვესწრაფებოდი ჩემს სამსამშობლოში, ისინი კი სამშობლოს საუკუნოდ სტოვებდენ.

მთიელი.

*) ამ წერილთან ერთად მოგვივიდა რუსულად გადმოთარგმნილი წერილი კ. ერისთვისა ბერსის ცოლთან, მაგრამ ამ წერილს მხოლოდ მაშინ დავბეჭდავთ, თუ ქართული წერილიც ჩაგვივარდა ხელში შესადარებლად.

რედ.


# განცხადებანი

—

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—86)

ი ნ გ ლ ი ს ი ს მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—84)



**მაკ-მასტერის**

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ვერცხლის მეღელი.

# ფ ა ს ლ ე რ ე ბ ი

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—16)

ს ა გ ლ ო ბ უ ს ო  კ ა ლ მ ე ბ ი



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საავენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის‘‘—$25^0/_0$ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაწკი—20 კ. (100—22)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება $25^0/_0$ იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—71)

## მაზანდა

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თბილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდის.

გამომცხვარი პური ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გირ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის | — —1 | გ. | 4 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის | -- —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $5\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |

მროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის | — —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |


# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

*Дозв. цензурою. Тифлисъ, 7 Іюня 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.